დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

20 ნოემბერი 2023 წელი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

რაულ კახაძე

# სააქციო საზოგადოება

# „გრინ დაზღვევა საქართველო"

# ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების

# კ ო დ ე ქ ს ი

თბილისი

## 1.ზოგადი დებულებები

1.1. ს.ს. „გრინ დაზღვევა საქართველოს“ (შემდგომში - „სადაზღვევო კომპანია“ ან „მზღვეველი“) როგორც ფინანსური ინსტიტუტის საქმიანობა დაფუძნებულია საზოგადოებრივ ნდობაზე. მზღვეველის მიმართ მომხმარებლების ნდობის დამყარებასა და შენარჩუნებას განაპირობებს მზღვეველის საქმიანობაში ჩართული თითოეული პირის ეთიკური ქცევა. ეთიკის კოდექსი ადგენს კომპანიის თანამშრომლის და მმართველი რგოლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირების პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა უზრუნველყოფს სადაზღვევო სექტორის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეპუტაციის ამაღლებას და გაზრდის მომხმარებელთა ნდობას. აღნიშნული დადებითად აისახება მთლიანად ფინანსური სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ბაზრის მონაწილეების მდგრადობასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

1.2. სადაზღვევო კომპანია და მასში დასაქმებული პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით.

## 2. ეთიკის ზოგადი პრინციპები

2.1. სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლები და მმართველი რგოლი (აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო) ვალდებულნი არიან, საქმიანობისას იმოქმედონ:

2.1.1. კეთილსინდისიერად, კომპეტენტურად, ყურადღებით, პატივისცემით, პატიოსნად და ეთიკის ნორმების სრული დაცვით კომპანიის, მომხმარებლების (სადაზღვევო მომსახურების მიმღები ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი, შემდგომში - „მომხმარებელი“), დამსაქმებლების, დასაქმებულების, სადაზღვევო სექტორისა და ზოგადად, საფინანსო ბაზრის სხვა მონაწილეების მიმართ;

2.1.2. კანონის დაცვით და დააკმაყოფილონ მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნები საქმიანობის განხორციელებისას;

2.1.3. პროფესიული და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით და დააყენონ პირად ინტერესებზე მაღლა;

2.1.4. გონივრული პროფესიული სიფრთხილითა და დამოუკიდებელი განსჯით;

2.1.5. საკუთარი და სხვების პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის;

2.1.6. კომპანიის, დასაქმებულების, მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვით.

2.2. სადაზღვევო კომპანიის დირექტორები უნდა მოქმედებდნენ კომპანიის და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

## 3. პროფესიული ქცევის სტანდარტები

3.1. სადაზღვევო კომპანიის აქციონერები, დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დასაქმებულები საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდნენ მისაღები ქცევების მინიმალური ნორმებით, პროფესიული ქცევის შემდეგი სტანდარტების სახით:

### 3.1.1.პროფესიონალიზმი:

**ა) კანონმდებლობის ცოდნა** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირების ვალდებულებაა იცნობდნენ და შეესაბამებოდნენ არსებული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს; არ დაარღვიონ, მონაწილეობა არ მიიღონ და ხელი არ შეუწყონ კანონისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას;

**ბ) დამოუკიდებლობა და ობიექტურობა** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები გონივრული სიფრთხილითა და განსჯით უნდა აღწევდნენ და ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას პროფესიულ საქმიანობაში. დაუშვებელია ნებისმიერ შეთავაზებაზე ან შუამდგომლობაზე დათანხმება ან ნებისმიერი სახის საჩუქრის, სარგებლისა თუ კომპენსაციის შეთავაზება/მოთხოვნა/მიღება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მისი ან სხვების დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას;

**გ) შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობა -** კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირებს განზრახ შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეთ სხვა პირები თავიანთი პროფესიული საქმიანობისას და ინფორმაციის მიწოდებისას;

**დ) დაუშვებელი ქცევა** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები არ უნდა ჩაებან ისეთ პრაქტიკაში, რაც გულისხმობს არაკეთილსინდისიერ, თაღლითურ ქმედებას, განზრახ შეცდომაში შეყვანას ან ნებისმიერ სხვა ქმედებას, რაც უარყოფითად აისახება მათ პროფესიულ რეპუტაციაზე, კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებაზე;

**3.1.2. კეთილსინდისიერება ფინანსურ ბაზარზე:**

**ა) მატერიალური არასაჯარო ინფორმაცია** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები, რომლებიც ფლობენ ინსაიდერულ ინფორმაციას ან სხვა სახის მატერიალურ არასაჯარო ინფორმაციას, რომელიც ახდენს ან შესაძლოა, მოახდინოს გავლენა ფინანსური ბაზრის და მათ შორის, სადაზღვევო სექტორის შიდა პროცესებზე, ტრანზაქციებსა და გადაწყვეტილებებზე, არ უნდა გასცემდნენ/იყენებდნენ და ხელს არ უნდა უწყობდნენ ასეთი ინფორმაციის არასათანადო გადადინებას სხვა პირებზე ან/და გამოყენებას სხვა პირების მიერ.

**ბ) ფინანსური ბაზრის მანიპულაცია** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები არ უნდა ჩაებან ისეთ პრაქტიკაში, რომელიც უსამართლოდ ცვლის ფასებს (პროცენტი, საკომისიო და სხვ.) ან ხელოვნურად ზრდის ტრანზაქციის მოცულობას ბაზრის მონაწილეების შეცდომაში შეყვანის მიზნით.

**გ) კეთილსინდისიერება სადაზღვევო სექტორში** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები არ უნდა ჩაებან ისეთ პრაქტიკაში, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა ან/და რომელიც აფერხებს/შესაძლოა, შეაფერხოს თავისუფალი საფინანსო საქმიანობა ან პროდუქტების თავისუფალი შეთავაზება ან/და არასათანადო უპირატესობას ანიჭებს/შესაძლოა, მიანიჭოს მათ ფინანსურ ბაზარზე, მათ შორის, სადაზღვევო სექტორის სხვა მონაწილეებთან მიმართებით, რაც არ შემოიფარგლება, თუმცა, გულისხმობს შემდეგი სახის პრაქტიკას:

**გ.ა)** არასამართლიანი ტარიფების ან სხვა არასამართლიანი პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

**გ.ბ)** განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების დაწესება ერთი და იმავე ან მსგავს პროდუქტებზე ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისთვის ბაზარზე შესვლის ხელოვნური ბარიერების დაწესებისა ან არსებული მონაწილეების ბაზრიდან გაშვების მიზნით. ასევე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ექსკლუზიური შეთანხმება ან უარის თქმა გარიგებაზე, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირებული მხარის სასარგებლოდ;

**გ.გ)** საფინანსო სექტორში მონოპოლიური ბერკეტების მოპოვება და შენარჩუნება, რომლის შედეგი ან მიზანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვაა;

**3.1.3. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ:**

**ა) ერთგულება, წინდახედულება და მზრუნველობა** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა უნდა გამოიჩინონ ერთგულება, მზრუნველობა და გონივრული განსჯა თავიანთი მომხმარებლების მიმართ;

**ბ) სამართლიანი მოპყრობა** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები ვალდებულნი არიან, პროფესიული საქმიანობისა და კონსულტაციის გაწევის პროცესში მუდმივად ინარჩუნებდნენ სამართლიანობასა და ობიექტურობას;

**გ) ინფორმაციის წარდგენა** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა სადაზღვევო პროდუქტისა და თავიანთი საქმიანობის პრეზენტაციისას უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა წარადგინონ სრული, ზუსტი და სარწმუნო ინფორმაცია; სარეკლამო ხასიათის ინფორმაციის მიწოდებისას, კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მიმღების გაფრთხილება მიწოდებული ინფორმაციის სარეკლამო ხასიათის შესახებ;

**დ) კონფიდენციალურობის დაცვა** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა უნდა დაიცვან მომხმარებლებისა და ყოფილი მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

**დ.ა)** ინფო.რმაცია ეხება მომხმარებლის არალეგალურ საქმიანობას;

**დ.ბ)** ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულოა კანონით;.

**დ.გ)** მომხმარებელი ნებართვას გასცემს ინფორმაციის გამჟღავნებაზე;

### 3.1.4. ვალდებულებები სადაზღვევო კომპანიის მიმართ:

**ა) ერთგულება** - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა უნდა იმოქმედონ სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ, რაც მოიცავს, მათი უნარებისა და კომპეტენციების გამოყენებას, კონფიდენციალურობის დაცვასა და სადაზღვევო კომპანიისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას.

**ბ) შეთანხმებები დამატებით კომპენსაციაზე –** კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა არ უნდა მიიღონ საჩუქრები, სარგებელი, კომპენსაცია, რომელიც დამსაქმებლის ინტერესებს ეწინააღმდეგება ან შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ან შექმნას ინტერესთა კონფლიქტი დამსაქმებელთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დამსაქმებლის წერილობითი თანხმობა;

**გ) ხელმძღვანელთა ვალდებულება** – ხელმძღვანელნი მუდმივად უნდა ამოწმებდნენ და რწმუნდებოდნენ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თითოეული პირის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან, წესებთან, რეგულაციებთან, ამ კოდექსთან და ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან.

### 3.1.5. პროფესიული საქმიანობის პრინციპები:

**ა) მზრუნველობა და გონივრული საფუძველი** – პროფესიული ქმედებების განხორციელებისას კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები:

**ა.ა)** უნდა მოქმედებდნენ შესაბამისი მზრუნველობით, დამოუკიდებლად და გულისხმიერებით

**ა.ბ)** უნდა ემყარებოდნენ გონივრულ და ადეკვატურ საფუძველებს, რომლებიც გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი კვლევებითა და ანალიზით;

**ბ)** კომუნიკაცია მომხმარებლებთან – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა:

**ბ.ა)** მომხმარებლებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საქმიანობის ძირითადი ფორმატისა და სადაზღვევო პროდუქტის ზოგადი პრინციპების/ძირითადი მახასიათებლების შესახებ. დაუყოვნებლივ უნდა გაუმჟღავნონ მომხმარებლებს ინფორმაცია ყველა იმ მატერიალური ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის ფორმატსა და პრინციპებზე ან რომელიც დაკავშირებულია პროდუქტთან;

**ბ.ბ)** მომხმარებლებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული რისკების, შეზღუდვებისა და ლიმიტების შესახებ, უზრუნველყონ აღნიშნული ინფორმაციის განახლება და მომხმარებლებისთვის შესაბამისი ცვლილებების გამჟღავნება;

**ბ.გ)** გამოიყენონ გონივრული განსჯა იმ ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მათი პროფესიული საქმიანობის ან მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში და მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები გაუმჟღავნონ მომხმარებელსაც;

**ბ.დ)** მომხმარებლებთან კომუნიკაციისას, სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზებისას, თავიანთი საქმიანობის პრეზენტაციისას და ზოგადად პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს, ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გამიჯნონ დადგენილი ფაქტი და პირადი მოსაზრება;

### 3.1.6. ინტერესთა კონფლიქტი და კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირთა პასუხისმგებლობა:

**ა) ინტერესთა კონფლიქტის მართვა და გამჟღავნება** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისთვის, რომ უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება, თავიდან აცილება და მართვა. როდესაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია, მათ სრულად, სამართლიანობის პრინციპის დაცვით უნდა გაამჟღავნონ ყველა ის საკითხი, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მათ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას ან ხელი შეუშალოს მათი მოვალეობების შესრულებას მომხმარებლებისა და დამსაქმებლის მიმართ. ასეთი გამჟღავნება უნდა განხორციელდეს ცხადად, გასაგებ ენაზე და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით;

**ბ) მესამე მხარის მოსაკრებლები და ბონუსები** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა დამსაქმებელსა და მომხმარებლებს წინასწარ უნდა გაუმჟღავნონ ინფორმაცია კონკრეტული საქმიანობის/მომსახურების გაწევისთვის მესამე მხარისგან მისაღები ან/და მათთვის გასაცემი ნებისმიერი სახის კომპენსაციის ან სარგებლის შესახებ;

**გ) ქცევის ზოგადი სტანდარტი კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირებისათვის** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირმა არ უნდა შელახოს სადაზღვევო კომპანიის (რომელშიც დასაქმებულია/რომლის აქციონერიცაა) და ამასთან საფინანსო ბაზრის რეპუტაცია და კეთილსინდისიერება. ამასთან, საფრთხე არ უნდა შეუქმნას საფინანსო სექტორის ფინანსურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას;

**დ) კომპანიის ან საკუთარი პოზიციის სტატუსის გამოყენება** – კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალმა პირებმა სადაზღვევო კომპანიის ან საკუთარი პოზიციის სტატუსის გამოყენებისას არ უნდა მოახდინონ პირთა შეცდომაში შეყვანა ან/და აღნიშნული სტატუსის არასათანადოდ გამოყენება.

### 3.1.7. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთა

ა) სადაზღვევო კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ფინანსურ სექტორში საქმიანი რეპუტაციის განმტკიცება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის გზით. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია წარმოადგენს უკანონოდ მიღებული შემოსავლის წარმომავლობის ან მისი მესაკუთრის შენიღბვას რამდენიმე ოპერაციის განხორციელების გზით, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული შემოსავლის „გათეთრებას“ და მისთვის კანონიერი სახის მიცემას;
ბ) კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები იღებენ ზომებს სადაზღვევო კომპანიის კუთვნილი საშუალებების, პროდუქტებისა და მომსახურების ფინანსური დანაშაულებისა და ბაზარზე არაჯანსაღი ოპერაციებისთვის გამოსაყენებლად შემცირების მიზნით.
გ) სადაზღვევო კომპანია აწარმოებს მომხმარებლების, პოტენციური მომხმარებლების და კონტრაქტორების იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციას იმ მიზნით, რომ კომპანიის პროდუქტები და მომსახურება არ იქნას გამოყენებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ან ტერორისტული ქმედებების ხელშეწყობის მიზნით. ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, სადაზღვევო კომპანიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ინსტრუქცია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარების, რისკის შემცველი გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“.

## 4. ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის კანონშეუსაბამო ქცევასთან დაკავშირებით ფაქტების განხილვა და რეაგირება

4.1. სადაზღვევო კომპანიაში ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით პრეტენზიების/საჩივრების/განცხადებების განხილვის ერთდონიანი სისტემა არსებობს, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენციალურად დაფიქსირება.

4.2. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია სხვადასხვა წყაროდან უზრუნველყოფდეს წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტებთან შეუსაბამობის/დარღვევის ფაქტებისა და ინციდენტების მოძიებასა და მიღებას, მათ შორის მოიაზრება მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ინციდენტები და დარღვევები, თვითგამჟღავნება, წერილობითი საჩივრები ან სხვა საჯარო წყაროდან მიღებული ინფორმაცია. კონკრეტული შემთხვევის მოკვლევის პროცესი სხვა მექანიზმებთან ერთად უნდა მოიცავდეს ახსნა-განმარტების მიღებას, შესაბამისი ინფორმაციის მოგროვებასა და გამოკითხვების წარმოებას.

4.3. კოდექსით განსაზღვრული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის ფაქტის არსებობის დადგენისა და შესაბამისი სანქციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო, ასეთი ფაქტის სავარაუდო არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

## 5. პასუხისმგებლობა კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

5.1. კოდექსით განსაზღვრული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომები. კოდექსის მიზნებისთვის დისციპლინური სანქციის ფორმებია:

ა) სიტყვიერი საყვედური;

ბ)წერილობითი საყვედური;

გ) მატერიალური პასუხისმგებლობა;

გ) ხელფასიდან თანხის გაქვითვა;

დ) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.

5.2. სიტყვიერი საყვედური - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირს მიეცემა სიტყვიერი საყვედური ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების მსუბუქი დარღვევის შემთხვევაში.

5.3. წერილობითი საყვედური - მიეცემა კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირს, თუ იგი არ გაითვალისწინებს სიტყვიერ საყვედურს და კვლავ გაიმეორებს ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევას.

5.4. ხელფასიდან თანხის დაქვითვა - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირს ხელფასიდან დაექვითება თანხა კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი და/ან ყველა წესის უხეში დარღვევისას. კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად დასაქვითი თანხის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

5.5. კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირის მხრიდან განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, რომელიც გამოიწვევს კომპანიისათვის ზიანის მიყენებას, განაპირობებს ასეთი ამ პირის მიერ კომპანიისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას.

5.6. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება - კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალ პირთან შრომითი ხელშეკრულების ან სასამსახურო ხელშეკრულების მოშლა განიხილება, როგორც დისციპლინური სანქციის უკიდურესი ფორმა. აღნიშნული სანქცია გამოიყენება კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების უხეში ან არაერთგზის დარღვევისათვის.

5.7. სადაზღვევო კომპანიის, სადაზღვევო კომპანიის მმართველი რგოლის და დასაქმებულების მიერ წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სანქციები. გარდა სანქციის დაწესებისა, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გასცეს წერილობითი მითითება/გაფრთხილება, დააწესოს შეზღუდვები და ინდივიდუალური მოთხოვნები.